



## ბარიშევის ეპისკოპოსი ვიქტორი: კონსტანტინეპოლის პატრიარქის ვიზიტი უკრაინაში მილიონობით უკრაინელ მართლმადიდებელს ავნებს



უმე-ს საინფორმაციო-საგანმანათლებლო განყოფილებამ გამოაქვეყნა ევროპის საერთაშორისო ორგანიზაციებთან უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლობის მეთაურის, ბარიშევის ეპისკოპოს ვიქტორის მიერ გამომცემლობა **news-politics.com**-სთვის მიცემული ინტერვიუს თარგმანი.

– თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობავ! სულ ახლახან, რუსეთის გაქრისტიანების დღესასწაულზე, ჩვენ ვიხილეთ და წავიკითხეთ, რომ ჯვრით მსვლელობაში, რომელიც კიევში გაიმართა, 300 000-ზე მეტი მორწმუნე იღებდა მონაწილეობას. გაგვიზიარეთ, თუ შეიძლება, თქვენი ემოციები. საბოლოო ჯამში, წარმოადგენს თუ არა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია უკრაინაში ყველაზე მსხვილ რელიგიურ კონფესიას?

– მიმდინარე წელს, ჩვენი ანგარიშით, დახლოებით 350 000 ადამიანი გახდა კიევში ჯვრით დიდი მსვლელობის მონაწილე. ეს ლიტანიობაში მონაწილე ადამიანთა ყველაზე დიდი რიცხვია, რაც ოდესმე დაფიქსირებულა ზოგადად, უკრაინაში და კერძოდ, კიევში ჩატარებულ ჯვრით მსვლელობებში. ამასთან, აღვნიშნავ, რომ ჯვრით მსვლელობა გაიმართა 27 ივლისს – სამშაბათს და, მამასადამე, ჩვენი ეკლესიის

მრავალმა მართლმადიდებელმა მორწმუნემ მასში მონაწილეობა ვერ მიიღო იმ მიზეზით, რომ ეს სამუშაო დღე იყო. გარდა ამისა, მორწმუნეთა დიდ რიცხვს კიევში ჩამოსვლის საშუალება არ მიეცა ფინანსური სიდუხჭირის ან უტრანსპორტობის გამო. ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ მორწმუნეთა დიდმა უმრავლესობამ უკრაინის დედაქალაქში დამოუკიდებლად ჩამოაღწია ლიტანიობაში მონაწილეობის მისაღებად: ადამიანები მოდიოდნენ მატარებლებით, ელექტრო მატარებლებით, კერძო მანქანებით ან ავტობუსებით. ამიტომ ვინც მაინც მოახერხა კიევში ჩამოსვლა, ყველა მათგანს მტკიცე სურვილი ჰქონდა იმისა, რომ უკრაინის დედაქალაქის ქუჩებში ლოცვით გაეგლო ქვეყნის მშვიდობისათვის, ეკლესიური ერთობისა და სიმშვიდისათვის.

**– თქვენ ალბათ კითხვა გებადებათ, თუ რატომ მოიქცნენ ასე? სახელდობრ, რამ აღძრა ხალხი როგორც ფიზიკურად, ისე მატერიალურად ასეთ ძნელ საქმეზე?**

– საქმე ისაა, რომ უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია საკმაოდ რთულ პირობებში ცხოვრობს. პეტრე პოროშენკოს პრეზიდენტობის დროს უკრაინის მართლმადიდებელმა ეკლესიამ რამდენიმე ასეული ტაძარი დაკარგა, რომლებიც მას უკანონოდ და ძალის გამოყენებით წაართვეს „მართლმადიდებელი ეკლესიის უკრაინის“ წარმომადგენლებმა. გარდა ამისა, უმაღლესმა რადამ რამდენიმე ანტიეკლესიური კანონი მიიღო, რომლებიც ამჟამად ამარტივებენ „გადასვლებს“, როგორც მას უწოდებენ „მეუ“-ში, თავისი არსით კი ეს არის ჩვენი ტაძრების რეიდერული დაუფლება. ხელისუფლების შეცვლამ მდგომარეობა რამდენადმე შეცვალა, მაგრამ საგრძნობი ძვრები მაინც არ მომხდარა. ყოვლივე ამან გამოიწვია ის, რომ ჩვენმა მორწმუნე ხალხმა შეწყვიტა უმოქმედობა და თავისი ეკლესიის დასაცავად ჩამოსვლა გადაწყვიტა. ლაპარაკია, უპირველესად, კრებსითი ლოცვით ეკლესიის დაცვაზე. სწორედ ლიტანიობა არის მორწმუნე ერის ლოცვითი აღძვრის მოქმედი განხორციელება.

თუმცა მთავარი მიზეზი სხვა რამეა. უკრაინის მართლმადიდებელი ერი, ისე, რომ არ უღრმავდება საღვთისმეტყველო ნიუანსებს, გულითა და სულით გრძნობს სულიწმიდის მადლის არსებობას უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიაში. შეიძლება ბევრი ვილაპარაკოთ კანონიკურობაზე, ეკლესიის არსებობის ისტორიულ პირობებზე, რაღაც პოლიტიკურ თუ სხვა მიზეზებზე, რათა ვამტკიცოთ საღვთო მადლის არსებობა, მაგრამ ყველაფერი ეს მშრალი გარეგანი არგუმენტაციაა, რომელიც ადამიანის გულზე არ მოქმედებს. მაგრამ შეიძლება უბრალოდ იცხოვრო ეკლესიური ცხოვრებით, მონაწილეობა მიიღო საეკლესიო საიდუმლოებებში, იყო მისი ერთგული შვილი, რათა არა მხოლოდ გაიგო, არამედ მიიღო კიდევ ღვთისგან ბოძებული მადლმოსილი ნიჭები. და აი, ამ მხრივ ადამიანის მოტყუება შეუძლებელია. მტკიცებულება? – კიევის ვლადიმერის გორაკი და ჯვრით მსვლელობაში მონაწილეებით გადაჭედილი ქუჩები და ტროუარები 17 ივლისს. ყველაფერი ეს არის ჩვენი ქვეყნის მორწმუნე ერის მხრიდან უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისადმი ნდობის უპირობო დამონებება. არანაირ ეჭვს არ იწვევს, რომ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია ყველაზე დიდი რელიგიური კონფესიაა უკრაინაში; და არ არის საჭირო სოცგამოკითხვები იმისათვის, რომ ამას მივხვდეთ. ცხადია, წმინდა მთავარ ვლადიმერის ხსენებისა და რუსეთის გაქრისტიანების დღის ზეიმის შემდეგ, საზოგადოების დარწმუნებას იმაში, რომ უკრაინის მორწმუნეთა უმრავლესობა სხვა რომელიმე კონფესიას უჭერს მხარს და არა უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას, მხოლოდ ბრმა ან ამკარად ცრუ ადამიანი თუ შეეცდება. ქვეყნის ვერცერთი სხვა რელიგიური ორგანიზაცია ვერ შეძლებს დედაქალაქის ქუჩებში იმდენი ხალხის შეგროვებას, რამდენიც უკრაინის

მართლმადიდებელი ეკლესიის მხარდასაჭერად გამოვიდა, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმ პირობებს, რომლებშიც ვცხოვრობთ.

თქვენ მეკითხებით: რა ემოციები განვიცადეთ ჯვრით მსვლელობის დროს? – ეს იყო უზომო სიხარული, სულიერი აღმაფრენა, ღვთის მადლის დასწრების განცდა. გარდა ამისა, ჩვენი ერთობის გაცნობიერება. დიახ, ჩვენ ერთნი ვართ ქრისტეში ზიარების დროს. მაგრამ ჩვენ ასევე ერთნი ვართ ერთობლივი ლოცვის დროსაც. თავად უფალმა ბრძანა, რომ ის იქ არის, სადაც მისი სახელით ორი ან სამი კაცია შეკრებილი – ჩვენ კი რამდენიმე ასი ათასი ვიყავით! 2021 წლის ჯვრით მსვლელობა ნამდვილი მოწმობა გახდა ჩვენი ერთობისა და ზეიმი – ჩვენი რწმენისა.

**– გვიამბეთ, თუ შეიძლება, უკრაინაში დღევანდელი სიტუაციის შესახებ. ხომ არ გაუმჯობესებულა ის უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში? რას იტყვით მორწმუნეებზე თავდასხმისა და ტაძრების მიტაცებაზე?**

– როგორც ზემოთ აღვნიშნე, სიტუაცია მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. მაშინვე, როგორც კი კონსტანტინეპოლის პატრიარქმა ბართლომეოსმა ავტოკეფალურობის „ტომოსი“ მიანიჭა ჩვენი ქვეყნის ორ განხეთქილებაში მყოფ სტრუქტურას, პირველი რამდენიმე თვის განმავლობაში ჩვენმა მორწმუნეებმა გადაიტანეს მანამდე არარსებული წნეხი ეკლესიაზე. ტაძრების მიტაცებას და მიტაცების მცდელობებს ხშირად ახლდა ვანდალიზმის აქტები და ფიზიკური ძალადობები „მეუ“-ს მიმდევართა მხრიდან. ჩვენს ტაძრებს უმტვრევდნენ კარებს; იყო შემთხვევები, როცა ქუჩაში ყრიდნენ წმინდა ზიარებას, ტაძრიდან გამოჰქონდათ ტრაპეზი. რამდენჯერმე სასტიკად სცემეს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მორწმუნეებს, მათ შორის ხნიერი ასაკის ადამიანებს. ყოველივე ეს ხდებოდა წინა ხელისუფლების ხელშეწყობით ან ჩუმი თანხმობით.

ვლადიმერ ზელენსკის ხელისუფლებაში მოსვლით მდგომარეობა რამდენადმე შეიცვალა. კერძოდ, ცენტრალური ხელისუფლების დონეზე იყო მცდელობა, გარკვეული პარიტეტის დამყარებისა. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო მანამდე, ვიდრე ზელენსკი უკრაინაში მოინვევდა პარიარქ ბართლომეოსს. ხოლო ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე, სამწუხაროდ, ბევრ შემთხვევაში პრობლემები არსად გამქრალა. დიდი ხნის განმავლობაში ჩვენი პრეზიდენტი ახერხებდა ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას, რომელიც ახლა გარკვეულწილად დარღვეულია „მეუ“-ს სასარგებლოდ. თუმცა ასეთი პოზიცია უთუოდ წამგებიანია, რასაც მოწმობს უკრაინის წინა პრეზიდენტის – პოროშენკოს მმართველობის შედეგები. მინდა მხოლოდ შევახსენო, რომ ეკლესიის ისტორიაში, მისგან მომწყდარი სტრუქტურის მხარდაჭერას და საუკუნოვანი საეკლესიო კანონების გათელვას, არსად, არავისთვის და არასდროს კარგი არაფერი მოუტანია. ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა – ეს არ არის მხოლოდ ღმერთის წინააღმდეგ გალაშქრება და საკუთარ ცხოვნებასთან საშიში თამაში, არამედ, ასევე არის პოლიტიკური კარიერისა და სტაბილური ცხოვრების დასრულება.

ამაოდ არ ამბობს წმინდა წერილი, რომ კეისარს კეისრის უნდა მიეცეს, ღმერთისა კი ღმერთს.

**– კონსტანტინეპოლის პატრიარქ ბართლომეოსს განზრახული აქვს აგვისტოში კიევის ენვიოს. იქნება თუ არა ეს ვიზიტი დადებითი შედეგის მომტანი ყველა ზემოთ აღნიშნული პრობლემის გათვალისწინებით, რომლებმაც თავი მას შემდეგ იჩინა, რაც მან 2 წლის წინ „ტომოსის“ მინიჭება გადაწყვიტა ეკლესიის გარეთ მდგარი სტრუქტურებისთვის?**

– მართლაც, რამდენადაც ჩვენთვის მასმედიიდან ცნობილი გახდა, პატრიარქი ბართლომეოსი აპირებს უკრაინაში ოფიციალური ვიზიტით ჩამოსვლას. თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ქვეყნის ეკლესიური ცხოვრების არსებულ მდგომარეობას, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მილიონობით წევრი კონსტანტინეპოლის ეკლესიის მეთაურის ჩამოსვლას უკრაინაში ეწინააღმდეგება. რატომ? – იმიტომ, რომ ჩვენი მორწმუნენი მწარე გამოცდილებით არიან განსწავლულნი და იცინ, რომ ეს ვიზიტი მილიონობით მორწმუნეს ავნებს. უკვე არაერთხელ გამოითქვა საფრთხის საშიშროება იმასთან დაკავშირებით, რომ კონსტანტინეპოლის პატრიარქის ჩამოსვლის შემდეგ მოხდება პოლიტიკური ვექტორის შეცვლა და იმ კურსთან დაბრუნება, რომელიც ეჭირა ქვეყნის წინა ხელისუფლებას 2019 წლამდე. ეს ნიშნავს, რომ ტაძრების მიტაცება გახშირდება და ე. ი. ძალადობის დონეც უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ მნიშვნელოვნად გაიზრდება. შეუძლებელია, პატრიარქ ბართლომეოსს არ ესმოდეს, რომ უკრაინაში მისი ჩამობრძანება რადიკალური ნაციონალური ძალების მიერ აღქმული იქნება როგორც მოქმედებისკენ მოწოდება; და თუ ის ლაპარაკობს ყველა უკრაინელის სიყვარულზე, მაშინ ამ ვიზიტისგან თავი უნდა შეიკავოს.

მეორე მხრივ, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მეთაურს, როგორც პატივით პირველს თანასწორთა შორის მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსებს შორის, შეეძლო, საჯაროდ განეკითხა ძალადობის აქტები უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიასთან მიმართებით, მოეწოდებინა თავისი სულიერი შვილებისთვის „მეუ“-დან, შეენწყვიტათ ტაძრების მიტაცების ბილნი პრაქტიკა, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წევრების გვემა. მას შეეძლო, შეეჩერებინა შეურაცხყოფების, ცილისწამებებისა და ღვარძლის მიზანმიმართული ნაკადი, რომელიც მიმართულია ჩვენს ეკლესიაზე. თუმცა მას ეს ერთხელაც არ გაუკეთებია.

ბუნებრივია, რომ არსებულ სიტუაციაში მისი ჩამოსვლა ვერ გამოიწვევს მოწონებას ჩვენი ეკლესიის მილიონობით მორწმუნის მხრიდან. შედარებისთვის შეიძლება ვთქვათ, რომ ეს იგივეა, წინა საუკუნის 90-იან წლებში რომის პაპს რომ ჩამოსვლა განეზრახა, როდესაც უნიატები ყოველდღიურად და ყოველ ადგილზე იტაცებდნენ ჩვენს მართლმადიდებლურ ტაძრებს ლვოვში, ლუცკში, ტერნოპოლში (დასავლეთ უკრაინის ტერიტორიაზე). როგორი იქნებოდა მაშინ მორწმუნეთა რეაქცია, რომლებიც ამ მტაცებლობისგან ზარალდებოდნენ და წართმეული ტაძრების კედლებს გარეთ, ქუჩაში რჩებოდნენ, – იმ

ტადრებისა, რომლებიც თვითონ, ან მათმა ბაბუებმა და დიდმა ბაბუებმა ააშენეს? რა თქმა უნდა –  
ნეგატიური; როგორც 90-იანებში, ისევე იქნება ახლაც.

აი, ასეთი განწყობა ჭარბობს ჩვენს მრევლში პატრიარქ ბართლომეოსის მოსალოდნელ ვიზიტთან  
დაკავშირებით, და ხალხის ეს განწყობა უკრაინაში მისი მოქმედებებითაა გამონვეული. და მაინც, ჩვენ  
ვიმედოვნებთ, რომ კონსტანტინეპოლის ეკლესიის მეთაური, ყურადღებით შეისწავლის რა რეალურ და  
არა ვირტუალურ სიტუაციას უკრაინაში, მიიღებს ბრძნულ გადაწყვეტილებას. რათა არ გაამწვავოს  
არსებული პრობლემები ჩვენი ქვეყნის რელიგიურ ცხოვრებაში.